ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის
სოფ. ზემო წინსვლის საჯარო სკოლა
საწვავის შესყიდვის სატენდერო
დოკუმენტაცია

2011 წელი

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრედენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1. იურიდიული პირებისათვის

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

1.1 ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა საგადასახდო ინსპექციიდან რეგისტრაციის შესახებ;

ბ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

გ) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

1.2. როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:

ა) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია მის საკუთრებაში არსებული ავტოგასამართი სადგურის შესახებ (საქართველოს ტერიტორიაზე ქალაქებსა და სასურველია დასახლებულ სხვა პუნქტებში, ადგილმდებარეობების მიხედვით). პრეტენდენტის უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით დადასტურებული;

ბ) საწვავის ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატი.

გ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების ფასი და სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა დანართი №1–ის მიხედვით. პრეტენდენტის უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით დადასტურებული;

დ) ფასების ცხრილი დანართი N2 მიხედვით. პრეტენდენტის უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით დადასტურებული.

ე) პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოგასამართი სადგური.

1.3 ამ პუნქტის 1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული, ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, წარმოდგენილ უნდა იქნეს შემსყიდველი ორგანიზაციაში მოთხოვნიდან არა უმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში. არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

1.4.პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება სისტემის გამოყენების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მოახდინს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

1.5 პრედენდენტის მიერ წარმოსადგენი ამ პუნქტის **1.2** ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია ელექტრონულ სისტემაში უნდა აიტვირთოს ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად**.**

1.6 ანგარიშსწორების პირობები:

1.6.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

1.6.2 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

1.7 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები:

ა) დიზელი ‘დიზელ სტანდარტი˜ (ლ-62) რაოდენობა – 1500 ლიტრი. მისაწოდებელი დიზელი უნდა აკმაყოფილებდეს „საავტომობილო დიზელის ხარისხობრივი ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 28 დეკემბრის #1238 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

1.8 მიწოდების პირობები და ვადები

1.8.1. საწვავის მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად 2011 წლის 15 დეკემბრიდან 2012 წლის 15 აპრილამდე.

1.9 ფასების ცხრილი

1.9.1 პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ფასების ცხრილი დანართი #2–ის მიხედვით.

1.9.2 პრედენდენტის მიერ წარმოდგენილ ფასების ცხრილში ერთეულის ფასი მოცემული და განფასებული უნდა იყოს „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების 25-ე მუხლის მე-31 პუნქტით განსაზღვრული შემდეგი ფორმულის შესაბამისად:

„C=Rx(P+Z)x(100% + 18%)xD/1000“, სადაც:

ა) C = ნავთობპროდუქტის (საწვავის) ერთი ლიტრის ფასი (ლარში);

ბ) R = წინადადების წარმოდგენის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის
ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში (ცვლადი კომპონენტი);

გ) P = წინადადების წარმოდგენის დღიდან PLATTS EUROPEAN MARKETSCAN-ის FOB MED (Italy) ბირჟაზე
დაფიქსირებული (გამოქვეყნებული) საწვავის ერთი მეტრული ტონის წინა სამი მონაცემის საშუალო
ფასი (ცვლადი კომპონენტი);

დ) Z = ტრანსპორტირებასთან, ლოჯისტიკასთან და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები, ზედნადები ხარჯები, საწარმოს მოგება და აქციზი;

ე) 18% = დღგ;

ვ) D = წინადადებით წარმოდგენილი ნავთობპროდუქტის (საწვავის) სიმკვრივის მაჩვენებელი.

1. 10.

მიმწოდებლის მიერ ელექტრონულ სისტემაში ატვირტთული ყველა დოკუმენტი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული;

1.11. დამატებითი ინფორმაცია:

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი.სოფ.ზემო წინსვლის საჯარო სკოლა. ტელ:577 30-42-54 რუსუდან ფაღავა.

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

მომსახურე ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი:

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება_____

საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	წარმოშობის ქვეყანა	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი
1	2	3	4	5	6	7	8

პრეტენდენტის ხელმოწერა_____

შენიშვნა: პროდუქციის ერთეულის ფასსა და საერთო ფასს შორის სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება პროდუქციის ერთეულის ფასს